

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია

## თავი პირველი ზოგადი დებულებები

### მუხლი 1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არის ტერიტორიული ერთეული, რომელიც საქართველოს განუყოფელი ნაწილია. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციითა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით დადგენილი პრინციპების საფუძველზე.

### მუხლი 2

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მოიცავს ტერიტორიას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მიღების დღისათვის არსებულ ადმინისტრაციულ საზღვრებში.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა დასაშვებია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედის ინიციატივის საფუძველზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ორგანული კანონით.

### მუხლი 3

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ნორმატიული აქტების მიღება, მათში ცვლილებების შეტანა;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა;

გ) განათლებისა და მეცნიერების ხელშეწყობა, კულტურისა და სამეცნიერო დაწესებულებების შექმნა და მართვა, კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობა;

დ) ბიბლიოთეკები და მუზეუმები;

ე) ტურიზმი, კულტურა და სპორტი;

ვ) მშენებლობა და ურბანული განვითარება;

ზ) საავტომობილო გზები და სხვა კომუნიკაციები;

თ) სანიტარია, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობა;

- ი) გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა და სამონადირეო საქმე;
- კ) სურსათი და საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლი;
- ლ) ბაზრობები, ბაზრები და გამოფენები;
- მ) საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემოსავლების ფარგლებში საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, ბიუჯეტის დამტკიცება და შესრულების კონტროლი;
- ნ) საქართველოს კანონებით განსაზღვრული ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება;
- ო) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვა და განკარგვა;
- პ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საჭირო საარქივო სამსახური;
- ჟ) სატყეო მეურნეობის მართვა;
- რ) სახანძრო დაცვა;
- ს) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარება.

2. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არ აწესრიგებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე საკითხს, მისი მოწესრიგება შეუძლია საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ნორმატიული აქტით.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული გამგებლობისათვის მიკუთვნებულ საკითხებს დამოუკიდებლად წყვეტენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევისა.

#### **მუხლი 4**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებათა საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი და ეს კონსტიტუცია.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი კანონია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას.

#### **მუხლი 5**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბათუმი.

#### **მუხლი 6**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა არის მართკუთხა ქსოვილი, რომელსაც გაჰყვითს შვიდი ჰორიზონტალური ზოლი: 1-3-5-7 ზოლი ლაჟვარდის ფერი, ხოლო 2-4-6 ზოლი თეთრი ფერის. დროშის ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო დროშა.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშის სტანდარტული ზომები და ზუსტი გამოსახულება, დამზადების წესი, პირობები და გამოყენების წესი დგინდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა ზომით საქართველოს სახელმწიფო დროშის სამი მეხუთედია.

4. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ოფიციალური დონისძიებების ჩატარებისას სრულდება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად გამოიფინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშა, ხოლო საქართველოს სახელმწიფო დროშის აღმართვისას აღიმართება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დროშაც.

## მუხლი 7

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი წარმოადგენს *ტაღლისებურად გადაკვეთილ პერალდიკურ ფარს, ცენტრში მცირე პერალდიკური ფარით. მცირე პერალდიკურ ფარზე მეწამურ ველზე გამოსახულია ოქროს ჯვრის ბუნიანი, ვერცხლის შუბოსანი, ვერცხლის გველეშაპის განმგმირავი, ვერცხლის ცხენზე ამხედრებული ოქროს შარავანდედიანი ვერცხლის მხედარი – წმინდა გიორგი. ფარის პირველ ნაწილში მწვანე ველზე გამოსახულია ოქროს ციხე. ფარის მეორე ნაწილში ლაჟვარდ ველზე გამოსახულია სამი ოქროს მონეტა ორი ერთზე.*

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოყენების სფერო განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით.

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ოფიციალური დონისძიებების ჩატარებისას სრულდება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში საქართველოს სახელმწიფო გერბთან ერთად გამოიფინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბიც.

## თავი მეორე

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

### უმაღლესი საბჭო

## მუხლი 8

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას და სხვა უფლებამოსილებებს.

## მუხლი 9

1. უმაღლესი საბჭო შედგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ოთხი წლის ვადით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიერ, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 15 და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 6 დეპუტატისაგან.

2. უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები ტარდება უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის *ოქტომბერში*. უმაღლესი საბჭოს არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა.

3. უმაღლესი საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 23 წლის ასაკიდან.

4. უმაღლესი საბჭოს წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტს მაინც.

5. უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის წესი, აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით.

### მუხლი 10

უმაღლესი საბჭოს შინაგანი სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული რეგლამენტით.

### მუხლი 11

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნების დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა. პირველი სხდომის დღეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. უმაღლესი საბჭო მუშაობას შეუდგება თუ დადასტურებულია უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედის უფლებამოსილება.

### მუხლი 12

უმაღლესი საბჭოს წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია.

### მუხლი 13

1. უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს უმაღლესი საბჭო. უმაღლესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. უმაღლესი საბჭო, უმაღლესი საბჭოს წევრს უფლებამოსილებას ვადამდე შეუწყვეტს, თუ:

ა) არსებობს უმაღლესი საბჭოს წევრის პირადი განცხადება უფლებამოსილების მოხსნის თაობაზე;

ბ) გარდაიცვალა, ან სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ;

გ) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

დ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

ე) დაიკავა უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;

ვ) სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებისას, შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულია, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატი;

ზ) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 3 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა უმაღლესი საბჭოს სასესიო (პლენარული და კომისიის სხდომები) მუშაობაში.

3. უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით.

## მუხლი 14

1. დაუშვებელია, უმაღლესი საბჭოს წევრი იმავდროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრი, ეწოდეს სამეწარმეო საქმიანობას, ეკავოს რაიმე თანამდებობა საჯარო სამსახურში.

2. უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით.

## მუხლი 15

1. უმაღლესი საბჭო თავისი უფლებამოსილების ვადით, რეგლამენტით დადგენილი წესით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს.

2. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უძღვება უმაღლესი საბჭოს მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ აქტებს, ასრულებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას მისივე დავალებით ან თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას.

## მუხლი 16

საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით უმაღლეს საბჭოში მისი უფლებამოსილების ვადით იქმნება კომისიები.

## მუხლი 17

1. უმაღლესი საბჭოს წევრები შეიძლება გაერთიანდნენ უმაღლესი საბჭოს ფრაქციაში. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 4-ზე ნაკლები.

2. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებამოსილება განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით.

## მუხლი 18

1. უმაღლესი საბჭოს მიმდინარე საქმიანობის ორგანიზების მიზნით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეების შემადგენლობით იქმნება უმაღლესი საბჭოს ბიურო.

2. უმაღლესი საბჭოს ბიუროს უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით.

## მუხლი 19

1. უმაღლესი საბჭოს სხდომები საჯაროა. დამსწრეთა უმრავლესობით უმაღლეს საბჭოს შეუძლია ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს.

2. უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული, დამტკიცებული თანამდებობის პირი, აგრეთვე თანამდებობის პირი, რომლის დანიშვნაზეც უმაღლესმა საბჭომ გამოთქვა

თანხმობა უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დაესწროს უმაღლესი საბჭოს სხდომებს.

3. კენჭისყრა არის ღია, გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

## მუხლი 20

1. უმაღლესი საბჭოს მორიგ სხდომას იწვევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თვეში ერთხელ.

2. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, განკარგულებით იწვევს უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან სამი დღის განმავლობაში არ იქნა მოწვეული რიგგარეშე სხდომა, უმაღლესი საბჭო ვალდებულია შეიკრიბოს და შეუდგეს მუშაობას მომდევნო სამი დღის განმავლობაში.

3. წერილობით მოთხოვნას რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე ერთვის რიგგარეშე სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა.

4. რიგგარეშე სხდომა ტარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

## მუხლი 21

უმაღლესი საბჭო:

ა) იღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული გამგებლობისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე, ასევე საქართველოს საკანონმდებლო აქტებით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში;

ბ) ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს;

გ) აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას;

დ) ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს;

ე) ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობას მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით;

ვ) უფლებამოსილია სრული შემადგენლობის ორი მესამედით უნდობლობა გამოუცხადოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას;

ზ) აწესებს კონტროლს მის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულებაზე;

თ) ირჩევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს, კომისიების თავმჯდომარეებს, ამტკიცებს კომისიების შემადგენლობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვორტებს;

ი) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში იძლევა თანხმობას თანამდებობის პირების დანიშვნასა და განთავისუფლებაზე;

კ) საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით საქართველოს პარლამენტში;

ლ) უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, სარჩელით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

მ) ახორციელებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით, საქართველოს კანონმდებლობითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა უფლებამოსილებებს.

## მუხლი 22

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედი.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის ან დადგენილების პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა, მაგრამ უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედისა, თუ ამ კონსტიტუციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს მიერ მიღებული აქტების დამტკიცებისათვის, საჭიროა უმაღლესი საბჭოს წევრთა ხმების ის რაოდენობა, რომელიც დადგენილია ამ აქტის მიღებისათვის.

4. სხვა სახის გადაწყვეტილებათა მიღების წესი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით.

## მუხლი 23

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, უმაღლესი საბჭოს წევრს, უმაღლესი საბჭოს კომისიას, უმაღლესი საბჭოს ფრაქციას.

2. მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეა უფლებამოსილი, უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონპროექტები.

3. მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წევრი, უმაღლესი საბჭოს კომისია, უმაღლესი საბჭოს ფრაქცია არის უფლებამოსილი, უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს რეგლამენტის პროექტი, რეგლამენტის პროექტი რეგლამენტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარდგენილ კანონპროექტს მისივე თხოვნით უმაღლესი საბჭო განიხილავს რიგგარეშე.

## მუხლი 24

1. უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონპროექტი 5 დღის ვადაში გადაეცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის შესაბამისად, შენიშვნებით უბრუნებს უმაღლეს საბჭოს.

3. უმაღლესი საბჭო კენჭს უყრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნებს ერთიანად, რომელთა მისაღებად საკმარისია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მიღებისათვის დადგენილი ხმათა უმრავლესობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პირველადი რედაქციით მიღებისათვის საჭიროა უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის მხარდაჭერა. თუ შენიშვნები მიღებულია, კანონპროექტის საბოლოო რედაქცია გადაეცემა მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც ხუთი დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ კონსტიტუციით დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს, თუ იმავე კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

## მუხლი 25

1. უმაღლეს საბჭოს უფლებამოსილება უწყდება:

ა) ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე;

ბ) უმაღლესი საბჭოს დათხოვნის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ძალაში შესვლისთანავე.

2. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის თანხმობით დაითხოვოს უმაღლესი საბჭო, თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას ან/და იგი ვერ ახორციელებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

3. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს უმაღლესი საბჭო, თუ მან ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურა, აგრეთვე თუ ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცა მთავრობის შემადგენლობა.

4. უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში ტარდება რიგგარეშე არჩევნები საქართველოს საარჩევნო კანონმდებლონით დადგენილი წესით.

## მუხლი 26

უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ახორციელებს დროებითი საპრეზიდენტო საბჭო, რომელსაც ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე.

## თავი მესამე

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

#### მუხლი 27

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებას.

2. მთავრობა შედგება მთავრობის თავმჯდომარის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებისაგან.

3. მთავრობა საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, საქართველოს კანონების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებასა და განკარგულებას, რომელსაც ხელს აწერს მთავრობის თავმჯდომარე.

4. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს მთავრობის აქტის მოქმედება ან გააუქმოს ეს აქტი, თუ ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, საქართველოს კანონებსა და საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივ აქტებს.

5. მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, რომლის პროექტსაც უმაღლეს საბჭოს წარუდგენს მთავრობის თავმჯდომარე.

6. მთავრობა ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე.

#### მუხლი 28

1. მთავრობას ხელმძღვანელობს მთავრობის თავმჯდომარე.

2. მთავრობის თავმჯდომარე:

ა) არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი და წარმოადგენს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას;

ბ) ხელმძღვანელობს მთავრობის საქმიანობას;

გ) საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას;

დ) უფლებამოსილია გადააყენოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრი, გააუქმოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრის აქტი;

ე) საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობებით დადგენილი წესით განკარგავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონებას;

ვ) უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს;

ზ) საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრავს მთავრობის მუშაობის ძირითად მიმართულებებს;

თ) კონტროლს უწევს მინისტრების საქმიანობას;

ი) პასუხისმგებელია მთავრობის საქმიანობაზე საქართველოს პრეზიდენტისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე;

კ) კოორდინაციას უწევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მთავრობის ურთიერთობას;

ლ) ახორციელებს საკანონმდებლო ინიციატივას უმაღლეს საბჭოში;

მ) ხელს აწერს და აქვეყნებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებს, გარდა კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონისა;

ნ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს *ნორმატიულ აქტს* – ბრძანებას და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს;

ო) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სხვა თანამდებობის პირებს;

პ) ახორციელებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით, საქართველოს კანონმდებლობითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

### მუხლი 29

1. მთავრობის თავმჯდომარის არ ყოფნის დროს მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მინისტრი მთავრობის თავმჯდომარის დაავლებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს უფლება არა აქვს:

ა) თანამდებობიდან გადააყენოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი და საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი;

ბ) განკარგოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონება;

გ) უმაღლეს საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარუდგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტები;

დ) უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი.

### მუხლი 30

1. ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს პრეზიდენტი უმაღლესი საბჭოს ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ, ხოლო თუ ფრაქციები არ არის შექმნილი – ერთპიროვნულად, მას თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას. მთავრობის თავმჯდომარე დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თუ უმაღლესი საბჭო არ დაამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატურას, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია 10 დღის ვადაში უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს იგივე ან სხვა კანდიდატურა.

2. თუ უმაღლესმა საბჭომ ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცა მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურა, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

### მუხლი 31

1. მთავრობის თავმჯდომარე, დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური

კანონის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმების შემდეგ, უმაღლეს საბჭოს თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას. მთავრობის შემადგენლობა დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა, მაგრამ უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედისა. მთავრობის თავმჯდომარე მთავრობის წევრებს ნიშნავს უმაღლესი საბჭოს მიერ მთავრობის შემადგენლობის დამტკიცებიდან სამი დღის ვადაში.

2. უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია არ დაამტკიცოს მთავრობის შემადგენლობა და იმავე გადაწყვეტილებაში დასვას მთავრობის ცალკეული წევრის აცილების საკითხი. მთავრობის თავმჯდომარის მიერ აცილების შესახებ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაზიარების შემთხვევაში, დაუშვებელია აცილებული პირის მთავრობის იმავე შემადგენლობაში დანიშვნა განთავისუფლებული ან გადამდგარი წევრის ნაცვლად.

3. თუ უმაღლესმა საბჭომ არ დაამტკიცა მთავრობის შემადგენლობა, მთავრობის თავმჯდომარე ერთი კვირის ვადაში უმაღლეს საბჭოს წარუდგენს მთავრობის იმავე ან ახალ შემადგენლობას.

4. თუ უმაღლესმა საბჭომ კვლავ არ დაამტკიცა მთავრობის შემადგენლობა, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

### მუხლი 32

1. მთავრობის ცალკეული წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში მთავრობის შესაბამის ახალ წევრს მთავრობის თავმჯდომარე ნიშნავს ორი კვირის ვადაში საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით.

2. თუ უმაღლესი საბჭოს მიერ მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ მთავრობის შემადგენლობა ნახევარზე მეტით განახლდა, მთავრობის თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოს, კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით, დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობის განახლებულ შემადგენლობას.

3. უმაღლესი საბჭოს მიერ მთავრობის განახლებული შემადგენლობის დამტკიცება ხდება კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

### მუხლი 33

მთავრობა საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებისა და კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში:

ა) კოორდინაციასა და კონტროლს უწევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების დებულებასა და სტრუქტურას;

გ) ქმნის სათათბირო ორგანოებს და ამტკიცებს მათ დებულებებს;

დ) ამტკიცებს მთავრობის აპარატის დებულებას, სტრუქტურას;

ე) უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების სამართლებრივი აქტები;

ვ) შეიმუშავებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს;

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოფს მის შესრულებას და უმაღლეს საბჭოს კვარტალში ერთხელ წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

თ) ხელს უწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამეწარმეო-ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას, კონკურენტუნარიანი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ფორმირებას;

ი) უზრუნველყოფს მოქალაქეთა სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელებას;

კ) შეიმუშავებს შესაბამის სპეციალურ პროგრამებს უმუშევრობის შემცირების მიზნით და უზრუნველყოფს მის განხორციელებას თავისი შესაძლებლობის ფარგლებში;

ლ) ხელს უწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განათლებისა და მეცნიერების სფეროში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, აგრეთვე კულტურისა და სამეცნიერო დაწესებულებების მართვას, ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების მოვლა-პატრონობას;

მ) მონაწილეობას ღებულობს ეკონომიკური, სოციალური, ჯანმრთელობის დაცვის საკითხების გადაწყვეტაში;

ნ) უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოვლა-პატრონობისა და სხვა კომუნიკაციების განვითარების ხელშეწყობას;

ო) ხელს უწყობს ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობასა და ურბანულ განვითარებას;

პ) ქმნის სათანადო პირობებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტურიზმისა და სპორტის განვითარებისათვის;

ჟ) უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის მართვას, სურსათისა და სხვა საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

რ) *კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას;*

ს) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქმნის არასამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიულ პირებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროებში;

ტ) ახორციელებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით, საქართველოს კანონმდებლობითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

### მუხლი 34

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო იქმნება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მმართველობის უზრუნველსაყოფად.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებია:

ა) ფინანსთა და ეკონომიკის;

ბ) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის;

გ) განათლების, კულტურისა და სპორტის;

დ) სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის.

### მუხლი 35

1. სამინისტრო ანგარიშგაღებულა მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ და მთავრობის თავმჯდომარის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

2. სამინისტრო თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონითა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3. სამინისტრო ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან. სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშგაღებულა საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე.

### მუხლი 36

1. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა, თუ:

ა) მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას;

ბ) იგი ვერ ახორციელებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისი გარემოების აღმოფხვრიდან ერთი თვის განმავლობაში, ხოლო ამ მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში – მთავრობის გადაყენებიდან ორი თვის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი უმაღლესი საბჭოს ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ შეარჩევს მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას და მას თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს უმაღლეს საბჭოს.

### მუხლი 37

1. მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს მთავრობის მთელი შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას.

2. მთავრობას უფლებამოსილება ასევე უწყდება:

ა) ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე;

ბ) უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედით მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებისას;

გ) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით დადგენილ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაყენებისას.

3. ამ მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ასევე მთავრობის გადადგომისას მთავრობა ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე.

4. ამ მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში მთავრობის უფლებამოსილებებს მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დანიშნული სახელმწიფო რწმუნებული და მისი აღმინისტრაცია.

## თავი მეოთხე

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი

#### მუხლი 38

1. უმაღლესი საბჭო ყოველწლიურად სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის *რესპუბლიკურ* ბიუჯეტს.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება ხორციელდება „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტის უმაღლეს საბჭოში განხილვის წესი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად.

#### მუხლი 39

1. მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარეა უფლებამოსილი უმაღლეს საბჭოსთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების შემდეგ უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის *რესპუბლიკური* ბიუჯეტის პროექტი.
2. მთავრობის თავმჯდომარე ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე არა უგვიანეს ორი თვისა უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის კანონის პროექტს და მთავრობის მოხსენებას მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს მთავრობა უმაღლეს საბჭოს წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი თვისა.
3. მთავრობის თავმჯდომარის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ბიუჯეტის პროექტში ცვლილების შეტანა.
4. კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას, უმაღლესმა საბჭომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული კანონპროექტები – უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ფარგლებში.

#### მუხლი 40

1. 3 თვის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს უმაღლესი საბჭო.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო უფლებამოსილია საბიუჯეტო წელს ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი გადასახდელები გასწიოს ახალ საბიუჯეტო წელს ყოველ თვეში გასული წლის ასიგნებების 1/12-ის ოდენობით.

## მუხლი 41

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველსაყოფად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საქართველოს კანონის საფუძველზე შესაძლებელია გადაეცეს სახელმწიფო საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების ნაწილი, ასევე სპეციალური დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2. კანონმდებლობით დადგენილი წესით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ თვითმმართველობის ორგანოებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან შეიძლება გადაეცეთ ფინანსური სახსრები.

## თავი მეხუთე

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღება და გადასინჯვა

## მუხლი 42

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღება უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედის მიერ და ძალაში შედის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის ამოქმედებისთანავე.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის და კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კონსტიტუციური კანონის პროექტის უმაღლეს საბჭოში წარდგენის უფლება აქვთ:

ა) მთავრობის თავმჯდომარეს;

ბ) უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არანაკლებ 20 000 ამომრჩეველს.

## მუხლი 43

1. უმაღლეს საბჭოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის წარდგენის შემდეგ, კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის უზრუნველყოფის მიზნით უმაღლესი საბჭო დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას განსაზღვრავს უმაღლესი საბჭო.

3. უმაღლესი საბჭო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის განხილვას იწყებს მისი გამოქვეყნებიდან ორი კვირის შემდეგ.

4. უმაღლესი საბჭო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტს განიხილავს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

#### მუხლი 44

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების მიზნით, უმაღლესი საბჭო, საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტს წარუდგენს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტს. საქართველოს ორგანული კანონის პროექტთან ერთად საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კონსტიტუცია.

#### მუხლი 45

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის გადასინჯვა ხდება კონსტიტუციური კანონის სახით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ.
2. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს, რომელიც აქვეყნებს მას საჯარო განხილვისათვის. უმაღლეს საბჭოში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.
3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის მიღებისა და ძალაში შესვლის პროცედურები განისაზღვრება კონსტიტუციის ამ თავის შესაბამისად.

#### მუხლი 46

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედებს მხოლოდ ის სამართლებრივი აქტი, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ კონსტიტუციას.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებიდან 1 წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფენ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობას.